

ტესტის სახელწოდება:

საერთო ცილა

ტესტის ალტერნატიული დასახელება:

ალტერნატიული დასახელება არ გააჩნია.

რას იკვლევს მოცემული ტესტი:

მოცემული ტესტი სისხლში ცილის საერთო რაოდენობას ადგენს. ცილების ორი მთავარი კლასი არსებობს – ალბუმინები (რომლებიც ცილის საერთო რაოდენობის დაახლოებით 60%-ს შეადგენს) და გლობულინები (დაახლოებით 40%). საერთო ცილის ტესტი შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ალბუმინისა და გლობულინის ურთიერთშეფარდებაც. ამ ფარდობის ცოდნა ექიმს ხშირად ეხმარება დაადგინოს ანალიზის პასუხებში გადახრის გამომწვევი კონკრეტული მიზეზები.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:

საერთო ცილის ანალიზი ხშირად ინიშნება რუტინული სამედიცინო შემოწმებისას. ეს ტესტი ექიმს გარკვეულ ინფორმაციას აწვდის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შესახებ, ამიტომ იგი შეიძლება გარკვეულწილად სკრინინგისთვისაც გამოიყენონ. საერთო ცილის ანალიზი ასევე კეთდება მაშინ, როდესაც ეჭვი აქვთ ღვიძლის ან თირკმელების ზოგიერთ დაავადებაზე.

როგორ კეთდება ეს ტესტი:

ანალიზისთვის საჭიროა სისხლის აღება. სისხლს იღებენ ვენიდან ან თითის წვერიდან.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა მდგომარეობამ ან მედიკამენტმა შესაძლოა ანალიზის შედეგებზე ზეგავლენა იქონიოს.

შედეგების ინტერპრეტაცია:

საერთო ცილის დაბალი დონე შეიძლება გამოიწვიოს კვების დარღვევამ, საკვები ნივთიერებების შეწოვის დარღვევამ, ღვიძლისა და თირკმლის დაავადებებმა.

საერთო ცილის მომატება კი შეიძლება გამოიწვიოს მაგალითად, ქრონიკულმა ანთებამ ან მიელომამ.

ალბუმინისა და გლობულინის ურთიერთფარდობა ექიმს დამატებით ინფორმაციას აწვდის და ეხმარება დაადგინოს თუ რას შეიძლება გამოეწვია საერთო ცილის მომატება ან დაკლება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საერთო ცილის განსაზღვრა დიაგნოზის დასმისთვის საკმარისი არა არის, ამიტომ თუკი ამ ანალიზის შედეგებში რაიმე გადახრას აღმოაჩენენ, გამომწვევი დაავადების გამოსავლენად ხშირად სხვა ანალიზებსაც ნიშნავენ.